

1
1957

ზოგიერთი კოლმეურნეობა წინა წლებში არასწორად ანაწი-
ლებდა სათეს ფართობს, სიმინდს თესავდა ურწყავ და მალეობ
ადგილებში, რაც იწვევდა მოუსავლიანობას.

გაზეთებიდან

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— როგორ მოუვიდა ჩვენს თავმჯდომარეს დაბალზე რომ
ათესვინებს სიმინდს?

— მაღალი მოსავლის აღებას აპირებს.



მეგობრული შარუები
ბ. ფირცხალავასი

„საქართველო“
სამხრეთ ოსეთის ლიტერატურის და ხელოვნების
მონაწილეები



რამაზ ასანიძე

მე გეტყვით და დამიჯერეთ:
ფართო ნიჭის პოეტია.
ვეროპაც კი მოიარა,
ჩვენში რომ ვერ მოეტია.



ბ. ს. კოტაშვილი

(მხატვარი)

მისი ფუნჯი სხვა ფუნჯს არ გავს,
ხალხის ხმა სჩქეფს ყველა ტონში,—
ციხარტყელის ფერებს ქარგავს
„საქორწინო მაყრიონში!“



კოსტა მარგიძე

ხეთაგუროვს ვერ დაირკმევს,
თუმცა მისებრ კოსტა კია.
პროზას დიდად არა სწყალობს,
ლექსის წერის ოსტატია.



ზინადა გოგლოვა

(რესპუბლიკის დამსახურებული
არტისტი)

ოსეთის მთიდან მოსული
ერთი უბრალო ქალია;
სცენაზე ნაპერწკალია,
ოსურ თეატრის თვალია.

ნიანგის მინაშარი

სხვაშაც ბევრმა გაგვახარა,
გვსურს შევაქოთ ნიჭი მათი,
მათ ვუგზავნით ტაშს და გაშას
სტალინის მისამართით!



გაფური

ის მწერალთა მეთაურად
დააყენეს ტყვილად განა?
მის პოემებს სიგრძითაც კი
გამოიცნობთ ყველახანა.



დავით ჯორჯაშვილი

სენმა საწოლს მიაჯაჭვა...
მაგრამ ფიქრობთ, გზას ვერ იგნებს?
ისიც ადგა და მკითხველი
მიაჯაჭვა თავის წიგნებს.



კ. ნ. კოჯაშვილი

სახალისოდ საჭვრეტელი
არ ასვენებს ოქროს ხელებს,
მისი ჩაქურჩ-საჭვრეტელი
თვით ქვასაც კი ამეტყველებს.

მადონა სიმღერას სწავლობს

ელეონორას დიხაყ რომ ჰქონდა პირის ჯემო. გემრიელი კერძების მომზადება იცოდა. ის რომ მკლავებს დაიკარწყებდა, თავზე ხილბანდს წაიკრავდა და ქვაბებს დაუტრიალებოდა, მის შეხედვას, მართლაც რომ არაფერი სჯობდა: დიდებული შეფ-შპარეული იყო.

მეზობლებში გასვლა უყვარდა. ელეონორა ყნოსვით იგებდა მეზობელს დღეს სადილად რა ჰქონდა: ხორციანი წვენი თუ მშრალი რამ. ასევე ყნოსვით იგებდნენ ერთმანეთის სამზარეულოს საიდუმლოებას სხვებიც: ქალებს შორის, მათ და შეუმჩნევლად, იდუმალი შეჯიბრება გამართულიყო, ვინ უკეთეს სადილს დაამზადებდა, ვინ უფრო აავსებდა ვიწრო აივანს სანელებლები მადის აღმძვრელი სუნით. ელეონორა დიდოსტატ იყო ამ სანელებლებისა. მეზობლების გულის გასახეთქად, აქაო და ყოველდღე ღზინი მაქვსო, ჭურჭელს იმდენს აჩხრიალებდა ტყუილბრალოდ, სანამ ერთი ან ორი თევზი თითებში არ შემოეშვებოდა...

ქალიშვილი ჰყავდა ელეონორას, მადონა. მადონა ამჟამად ისვენებდა. უმალესში ვერ მოხვდა და გაჯავრებულმა, ნერვები რომ უფრო არ გაღიზიანებოდა, გადაწყვიტა დასვენება.

ერთ დღიას ელეონორამ გამოაცხადა, რა კარგი იქნებოდა, მადონა მომღერალი მყოლოდაო. დედა-შვილს ბევრი არ უფიქრიათ, ვიღაცა ნაცნობი გამონახეს, რაღაცა ჩაულაპარაკეს, მიდგნენ-მოდგნენ ამ ნაცნობებით სახეს დალოცვილ თბილისში და მოაჭარბეს სტუდიაში მიღება.

იმ დღის მერე, მადონა დღიდან საღამომდე ბიანინოს უჯდა და წერილი ხმით გაჰქოდა.

ელეონორა ფეხზე აღარ იდგა სიხარულით: ცდილობდა, რაც შეიძლება ნაკლები ეხმარა სამზარეულოში, კარის მეზობლები მომდურა გაუთავებელი შენიშვნებით: მადონა მეცადინეობს და ჩუმად იყავითო.

— ვიღას არ უმეცადინია, — ეუბნებოდნენ მეზობლები. — ზედ ხომ არ გადაეცემათ. მთელი დღე შეყვარებულებივით ვიწროჩულოთ? ჩვენ ოჯახში ხმას აღარ ამოგვალეზინებ?

— რამდენიც გინდა იყვირე და იღრიალე, ბატონო, — ბრაზობდა ელეონორა.

— ყვირილი რა საკადრისია.

— დი-დი ბო-დი-ში! ადამიანს კულტურა უნდა ჰქონდეს, შეგნება მადონა სიმღერას სწავლობს, ქვაბებს კი არა რეცხავს.

მიუხედავად ამდენი დავიდარებისა, მადონა ზედიზედ იღებდა ორიანებს. სტუდიაში ამხანაგები აშკარად დასცინოდნენ. საწყალ გოგონას კირის



— პატივცემულო ალექსანდრე, გუშინ თქვენ მიტროფანეს ემუქრებოდიოთ საქვეყნოდ თავს მოგპრიო და დღეს ლექსებს უბეჭდავთ?

— მუქარას ვუსრულებ.

ოფლი ასხამდა, მაგრამ დედისათვის ხათრი ვერ გაეტეხა, სტუდიაში მაინც დადიოდა და მეცადინეობდა, მადონა ისეთი მტრედი არ იყო, მაინც-დამაინც დედის წყენას მორიდებოდა. ეზომ გაიგო სიმღერას სწავლობსო და უხერხული იყო სტუდიის დატოვება...

ეს სიკვდილი იქნებოდა ელეონორასათვის. სახალხოდ დასცინებდნენ ჭორიკანა მეზობლები. დედამ ეს ჩინებულად იცოდა და ამიტომ ყოველი მეცადინეობის წინ მადონას ეუბნებოდა:

— როგორც იყოს, შვილო, ისწავლე მეზობლების ჯინაზე! შენი მტრების გულის გასახეთქად.

— ეჰ, მეტი რა გზაა, ვისწავლი, დედა.

— თუ ხასწავლებელში ძალიან გიძნელდება, — აპარებდა ელეონორა, — ნუღარ ივლი... მხოლოდ შინ, აუცილებლად უნდა იმღერო! მეზობლების ჯინაზე...

მადონა მღეროდა. მეზობლების ჯინაზე...

— ადამიანს კულტურა უნდა ჰქონდეს, — წამდაუწყებ გაიძახოდა ელეონორა. მეზობლები ჩუმადაც რომ ყოფილიყვნენ, ძალად იწვევდა საუბარში. მას საკუთარი მეთოდი ჰქონდა: ხედავდა რომ მადონას „მომღერლობას“ ეზო შეეგუა, აღარაფერს ამბობდნენ, ეს კი ელეონორას შვილის ნიჭის დაუფასებლობად მიაჩნდა. ამიტომ ჰქებდა მეზობლებს:

— შურმა ჩაგაწყვეტინათ ხმა, არა? მე ვიცო

თქვენი ოინი... არა უშავს, ცოტაც და მადონას ობერაში მიიწვევენ... მაშინ ჩვენ დიდ ბინას მივიღებთ ქალაქის ცენტრში... ძალიან კი დაგებრიცხვით თვალეზი, მაგრამ გვიან იქნება, აღარც კი ვიკადრებ თქვენთან ლაპარაკს.

ელეონორამ „დააწესა“ კვირაში ორჯერ მაინც „შეესხენებინა“ მეზობლებისათვის შვილის „მომღერლობა“. იმდენი ილაპარაკა, ისე გააბეზრა ყველა, რომ ქალებმა მართლაც გადაწყვიტეს მუსიკალურ სტუდიაში ჩივილი — თქვენი მოწაფეები ძილის საშუალებას არ გვაძლევნო.

სტუდიაში მათ უთხრეს, რომ მადონა დიდი ხანია ჩვენი მოწაფე აღარ არისო...

დაესიენ ქალები ელეონორას. გაწეწეს და გამოწეწეს.

— აკი ასეო, აკი ისეო...

მადონა კვლავ „ისვენებს“. მისი ყოჩაღი დედა მედგრად უხვდება ჭორიკანა მეზობლების შემოტევას და ყოჩაღად იგერიებს მათ.

შვილი კი, ძალებს იკრფის, რათა მომავალ ზაფხულს კვლავ სინჯოს ბედი იმ „სანატრელ“ უმალესში და თუ კვლავ ხელი მოეცარა, შეისწავლოს... ვთქვათ, ცეკვა.

ერთი საკითხავი: რა ემღერება მადონას?

რ. ბაქანიშვილი





„შირაქში ერთმა მეცხვარემ, სიზმარი ნახა-ა...“

ამ მწყემსურ სიმღერას იგონებდა სოფ. ძველი ანაგის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მეცხვარე ნაგი ალი-ოლი, როცა ალაზნის ველზე გარბოდა... მისამალავად.

არა, „შირაქში ერთმა მეცხვარემ“ კი არა, ეს სიზმარი მან, ალი-ოლიმ ნახა ყარალაჯში. მერე ეს სიზმარი ცხადიც აღმოჩნდა: ცხვრის ფარას, რომელიც მას კოლმეურნეობამ მოსაგლეღად ჩააბარა, მართლაც მოუვიდა ზიანი, ცხვარი მოიწამლა, მაშასადამე, პასუხს მოსთხოვენ.

და ნაგი ალი-ოლი მიიმალა, მოწამლული ცხვარი კი ადგილზე დარჩა, ფარეხში.

მერე ეს ზიანი კოლმეურნეობას ზარალად რომ დააწვა? რა ვუყოთ, იქნებ „ჩამოაწერონ“ და საქმეც ამით გათავდეს? მაგრამ გათავდება კი? ვკითხოთ ძველი ანაგის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს, მის გამგეობას.

— ჩვენ რა გვაქვს საკითხავი? — გვკითხვენ „პასუხად“.

აი რა:

სოფელ ყარალაჯის (ყარაღი, სილნალის რაიონი) მინდვრებზე, ნაჩხატი, მწირი ადგილების გავარგისების მიზნით, ალაზნის საცდელ-სამელორაციო სადგური რომ მოაწყეს, მან დიდი სარგებლობა მოიტანა: მეცნიერულმა ცდებმა მწირი მინდორი გაანაყოფიერა, ახალი ფართობი შემატა რაიონს, სადგურის ნაკვეთები შემოღობილია, იქ

საინტერესო საქმე კეთდება: სხვადასხვა კულტურები ითესება, ჯეჯილი მოჰყავთ, ჯეჯილებში სასუქები შეაქვთ, საწამლავებს ასხურებენ, იქ საქონლის შეშვება არ შეიძლება, ეს ხომ იცის ძველი ანაგის კოლმეურნეობამ?

იცის.

ჰოდა, რაღა სწორედ იმ ნაკვეთებთან ააგო კოლმეურნეობამ ფარეხები, რაღა იქ დააბინავა ცხვარი?

— რა ვუყოთ? ჩვენი ფართობი გამოვიყენეთ, — გვიპასუხებენ კვლავ კოლმეურნეობაში.

— თვალს დავიჭერთო, — დასძენენ.

აი, ჩვენც აქა გვაქვს საქმე:

კოლმეურნეობამ თვალი „არ დაიჭირა“, მისმა ცხვარმა არაერთხელ დააზიანა ნაკვეთებზე საცდელად მოყვანილი ჯეჯილი, მწყემსებმა (ალი-ოლიმ, ჯალიაშვილმა და სხვებმა) გააჩანაგეს ღობე და ეს ამბები რომ შერჩათ, ამას წინათ მოწამლული ჯეჯილები გააძოვინეს ცხვარს. ეს დანაშაული უშუალოდ ნაგი ალი-ოლიმ ჩაიდინა. ცხვარი მოიწამლა, მოწამლული ჯეჯილი განადგურდა, ნაგი გაიქცა, ხოლო დანაშაულისათვის პასუხი არავის უგია!

სად არის ნაგი? რა გააკეთეს ძველი ანაგის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ და გამგეობამ ან დანაშაულისათვის პასუხის მოსათხოვად, ან იმისათვის, რომ ისეთ დიდმნიშვნელოვან მეცნიერულ მუშაობას, რომელსაც ალაზნის საცდელ-სამელორაციო სადგური აწარმოებს, ხელი არ შეუშალონ?

ეს გვაინტერესებს.

ს. მახვილაძე

- სახმართლოს სურს მოიხმინოს თქვენი გაცილების მოტივი.
- დამიხსი, დამალევიანე, ეგ ღვინო...

დაბ. გ. ფირცხალავაძე



(ლირიკული ესკიზი)

საამური დღე იყო, როდესაც ცხელი ნია, რომ გამყიდველს არასდროს არ მოუტყუებია, გაზაფხულს კარგი ლექსები უძღვნეს პოეტებმა და რუსთაველზე რამდენი ქალიშვილიც დადის, ყველას ბუნებრივი ფერის თმები აქვს.

ცა იყო მოწმენდილი, როგორც უღანაკარგოდ მოსავალადებული ნაკვეთი. მზე იცინოდა მლიქვნელი თანამშრომელივით და ქუჩაში მტვერი ისე ლაპაზად ბრწყინავდა, რომ არ გდომოდა — მაინც ჩაყლაპავდი.

ისეთი ღირსშესანიშნავი დარი იდგა, რომ ხალხი ტროლეიბუსში აღარ აღიოდა, რადგან ტროლეიბუსიც ისე გადატვირთულიყო, როგორც ავტობუსი. ბალის კუთხეში კენტად მოჩანდა შეყვარებული წყვილი. ქალს ვაჟისათვის ხელკავი გაეკეთებინა, ვაჟს ქალისათვის კი — წელკავი. ორივე ერთად იქნებოდა დაახლოებით 120 კილო და 50 წლისა.

— სოკრატე, მე შენ მიყვარხარ! — ვეღარ მოითმინა და ვაჟის სათქმელი წამოსცდა ქალს.

ქალი უფრო მსუბუქი იყო: ასე, 48 კილო, ამასთან 27 წლის, მაგრამ 26-ზე მეტს არაფრით არ მისცემდი.

სოკრატეს სახე ისე უღიმოდა, თითქოს გეგმა 200% -ით შეესრულებინოს და ახლა რეპორტიორები გაზეთისათვის სურათს უღებდნენ.

დიახ, სოკრატე ბედნიერი იყო, ო, რა შეუბრალებლად მოგეჩვენებოდათ ფილოსოფოსების მიერ ოდესღაც მისი სახელის მიმართ გამოყვანილი ლოგიკური დანასკვი:

ყველა ადამიანი მოკვდავია

სოკრატე ადამიანია

სოკრატე მოკვდავია

განა ეს სწორი იყო ამჯერად? განა შეიძლებოდა მოკვდავად ჩაგეთვალით არსება, რომელსაც ბინის ქირა წინასწარ გადახდილი ჰქონდა, დღეში სამჯერ თმის გამამაგრებელ წამალს ისვამდა და გვერდით ასეთი ქმნილება ედგა? არა და არა. სოკრატე ამჯერად უკვდავი იყო. და მაშინ ცნობილი ლოგიკური მსჯელობა მიიღებდა ასეთ ოპტიმისტურ სახეს:

ყველა ადამიანი მოკვდავია

სოკრატე უკვდავია

სოკრატე ადამიანი არ არის

სოკრატეს სჯეროდა, რომ მისი სიყვარულის ობიექტს (ანდა, სულ ერთია, სუბიექტს) ვერავინ შეედრებოდა, რომ ქვეყნად მსგავსი არ ჰყავდა, ანუ, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, უმსგავსო იყო.

საამური დღე იყო, როდესაც გგონია, რომ მილიციელს არასდროს არ დაუჯარიმებია, აბანოში წყალი არც ერთხელ არ შემწყვდარა და თავის ფასში ნაყიდი სტალინის ბილეთი გულისჯიბში გიდევს...

არლი თაყაიშვილი

1. ფეხბურთელმა თქვა—ყველა ინსტიტუტის კარები ღია მაქვს, სტადიონზე კარის აღება ვერ მოვახერხეო.
2. გამომცდელმა თქვა—ამ აბიტურიენტს ცოდნა აქვს, მაგრამ პატრონი არა ყოლიაო.
3. „სტილნმა ბიჭმა“ თქვა—მე რატინის პალტოსათვის დედაჩემის ნიშნობის ბეჭდები გავყიდე და ჩემი სატრფო ჩემგზიან აგრონომს გაჰყვავო.
4. შინაბერამ თქვა—მე ერთი დავიწუნე, ათმა მე, და წუნიას მაინც მე მეძახიანო.
5. მსახიობმა თქვა—სცენაზე მუდამ ღირსეული ქმარი ვარ და ჩემი ცოლი მაინც უნიათოს მეძახისო.
6. ტექნიკით გატაცებულმა თქვა—ტექნიკა ისე განვითარდება, ავტოპანქანები ჰაერში იფრენენო და შოფერს გაელიშა—იქ მაინც ინსპექტორები აღარ იქნებიანო.

გალატბიონ მახარაშმ


პირფერი ფრთოსანი

(იგავი, გაგონილი და გამოგონილი)

ერთხელ, ერთ ბუჩქზე შემომჯდარ ბულბულს,
როცა უმღერდა ის ვარდს, თუ სუმბულს,
წინ დაუფრინდა ყვანჩალა ყვავი,—
ბულბულმა გრძნობით აივსო გული,
შესწყვითა პანგი მან ღირიკული
და მოწიწებით დაუკრა თავი!
უთხრა—მახარებს დღეს შენი ნახვა,
შენთან შეხვედრის წრფელი განზრახვა
გადამქცევია ნატვრა-ოცნებად!
შენს სიმღერის ნიჭს დიდად აქებენ,
ჩვენს ხმას კი—მკაცრად აქიპებენ,
თუმც ერთხელ გვთვლიდნენ პანგის მგოსნებად!
შენ რომ მოწყალე სიკეთე მიყო
და რომანსი რამ აქ წამოიწყო,
დავალეული დავრჩები მეტად!
ყვავმა არ უთხრა მთხოვნელს უარი
და ყვანჩალური რეპერტუარი
შესასრულებლად გამოიმეტა!
ბულბულს ცრემლები წამოსკდა თითქმის
და მლიქვნელური რაც ქება ითქმის,
სულ მოახსენა ხოტბით და ღიმით.
თქვა: საოცარი სიმღერააო,
თვითონ კარუზო შენთან რააო?—
ყელში გიჟდერსო ორთუეს სიმი!
მოგესხენება ჩემზე უკეთ ეს,
ტელევიზორშიც, თქვენზე უკეთეს
რომ მოავლენდნენ, არა მგონია,
ესტრადა, ანუ ფილარმონია!..
თურმე ნუ იტყვი, ეს გულჩვილობა,
ეს თავაზა და ენატკბილობა
სხვა ანგარიშით დასჭირდა ბულბულს:
ერთ-ერთ არტელში, ვაკანტურ წესით
გაჩნდა ადგილი—სხვის უკეთესი,
სადაც სულ მუქთად აქმედდნენ სულგუნს
და იმ ადგილზე მოწყობა მაშინ
იყო თვით ყვავის გამგებლობაში...

ამა იგავის თავი და ბოლო,
ჩვეულებრივად სადაა, ხოლო,
თვითვე მიხედვით მორალს დიდებულს:
ჩანს, რომ ფრთოსანებში სულ არ სძრახავენ,
თუ უნებურად ბულბულს ნახავენ
ყვანჩალასგან დამოკიდებულს!

ფასადანი



უცყუარი დიპნოზი

- ექიმო, გული მაწუხებს.
- ნ აპრილს ფეხბურთის მატჩს ხომ არ დახწრებხართ?
- როგორ არა, ბოლომდე დავრჩი.
- აბა რაღა გალაპარაკებს, კაჟივით გული გქონია.

ნიანგის ღაქსიკონი

კვერცხი—ბაზარში რომ ქათმის ფასად ჰყიდიან ის არის.
თავმდაბლობა—არავის არ ადაბლებს.
ასანთი—სწრაფალებადი ნივთიერებისაგან შემზადებულ-
თავიანი ღერი, რომელიც სანამ აინთებოდეს, თვითონ აგან-
თებს.
ექიმო—მკურნალი (ზოგიერთი), რომელიც, ხშირად, ჯერ
ატყავებს „პაციენტს“ და მერე ჰკლავს.
მონადირე—ჯერ ჰკლავს, მერე ატყავებს.
ლობიო—ბოსტნეული. ზოგჯერ კაცზეც იტყვიან—„შე ლო-
ბიო!“
ტელევიზორი—პატრონს რომ მეზობლები შეაძულა, ის
არის.
ღვინო—სითხე, რომელიც ფერს გაძლევს და ჰკლავს გარ-
თმევს.
ჰამლეტი—უშანგი ჩხეიძემ წაიყვანა და ვერაგინ ვერ მოი-
ყვანა.

ტარიელ ხავთასი

ნახ. გ. ფირცხალავასი



ჩვეულებისამებრ თავი აღმოხვალეთ ტრიბუნაზე ეგონა...

რედაქტორი—ელგუჯა მალრაძე.

სარედაქციო კოლუბია: აკ. ბელიაშვილი, ო. გიგინეიშვილი,
ვ. თორდუა, კ. ლორთქიფანიძე, ს. ფაშალიშვილი, გ. ჯაში.

საქ. კ. ცენტრალური
კომიტეტის
გამომცემლობა

Тбилиси. Сатирико-юмористический журнал „Ниянги“. რედაქციის მისამართი: რუსთაველის პროზ. № 42 ტელ.

3-10-49

3-76-69

საქ. სს. რ.
პრეზიდიუმის დახმარებით
ინჟინერის სახელმწიფო
სანიტარული
ინსპექცია

საშენ მასალათა, ადგილობრივი მრეწველობის, საფეიქრო მრეწველობის, მსუბუქი მრეწველობის, სასურსათო მრეწველობის სამინისტროების, ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს და სტალინის სახ. ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის ხელმძღვანელობა სათანადო ზომებს არ იღებს მათი საუწყებო ქარხნებიდან გამომდინარე ქიმიურ ნივთიერებებით მოწამლული წყლის გახადიდებას, რაც მდ. მტკვარში ჩადის და თევზს ანადგურებს.
ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სანინსპექცია ყოველივე ამას გულგრილად უყურებს.

